

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
N01-122102

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კობერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „პრინტარეა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ სანაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი და გარანტია

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საჭიროებისათვის სამაგიდე დროშების და დიდი დროშების (სადგამით) შესყიდვა (CPV 35821000 - დროშები);

შენიშვნა: დროშების რაოდენობა და მახასიათებლები მოცემულია დანართ 1-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2044.5 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ერთეულის ფასები მოცემულია დანართ 1-ში;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთარი სახსრები;

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშგაქტურის მიმწოდებლის მიერ წარდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- 5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლელა კიკალაიშვილი.

6. საქონლის მიწოდების პირობები

- 6.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს;
- 6.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 28 დეკემბრამდე შემსყიდველის სათაო ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი 76 ბ.
- 6.3 მიწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

უზრუნველყოს "მიწოდებლის" საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. "მიწოდებელი" უფლებამოსილია:

მოსთხოვოს "შემსყიდველს" თანხის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. "მიწოდებელი" ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

ბ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ზარალი.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;

8.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლელა კიკალაიშვილი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დამრღვევ მხარე ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9.5. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ იქნება მიწოდებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შესყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურების ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და გაწეული მომსახურების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შესყიდველის სასარგებლოდ.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლებება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 დამატებითი პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან;

14.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

შპს „საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია“
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. N768
სს „ლიბერთი ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
კოდი: 220101480, LBRTGE22
ა/ა N GE77LB0113123325230012
ს/კ 412670097



მიმწოდებელი:

შპს „პრინტარეა“
იურ. მის: ქ. თბილისი რუსთაველის გამზ. N40/1
ფაქ. მის: ქ. თბილისი ცინცაძის ქ. N41
ელ/ფოსტა: info@printarea.ge
სს „ბანკი ქართუ“
კოდი: CRTUGE22
ა/ა GE36CR 0000 0000 1235 3602
ს/კ 404384395



მოამზადა:

შესყიდვების დეპარტამენტის
გამარტივებული შესყიდვების სპეციალისტი:

თინათინ სანაია

შეთანხმებულია:

შესყიდვების დეპარტამენტის გამარტივებული
შესყიდვების სამსახურის უფროსი:

მალბაზ ლამბაძე

დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში:

ეკატერინე გალდავა

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:

ლელა კიკაღეიშვილი

დანართი 1

N	საქონლის ჩამონათვალი	მახასიათებლები	განზ. ერთ	რაოდ. ენობა	ფასი	ჯამი
1	საქართველოს სახელმწიფო დროშა-სამაგიდე	დროშის ზომა: 22 x 15 სმ, მასალა: ატლასი ორმაგი, ბეჭდვა: ციფრული, სუბლიმაციური, ორი ერთმანეთზე გადაკერებული დროშა, დროშის ფერი არ გახუნდეს და არ ამოირეცხოს. სამაგიდე დროშის სადგამი: მასალა-ვერცხლისფერი ნიკელი, ზედა თავი მომრგვალებული სამაგრიტო, ქვედა თავი მრგვალი სადგამით.	ცალი	10	13.5	135
2	ევროკავშირის დროშა-სამაგიდე	დროშის ზომა: 22 x 15 სმ, მასალა: ატლასი ორმაგი, ბეჭდვა: ციფრული, სუბლიმაციური, ორი ერთმანეთზე გადაკერებული დროშა, დროშის ფერი არ გახუნდეს და არ ამოირეცხოს. სამაგიდე დროშის სადგამი: მასალა-ვერცხლისფერი ნიკელი, ზედა თავი მომრგვალებული სამაგრიტო, ქვედა თავი მრგვალი სადგამით.	ცალი	5	13.5	67.5
3	კომპანიის ბრენდირებული დროშა-სამაგიდე	დროშის ზომა: 22 x 15 სმ, მასალა: ატლასი ორმაგი, ბეჭდვა: ციფრული, სუბლიმაციური, ორი ერთმანეთზე გადაკერებული დროშა, დროშის ფერი არ გახუნდეს და არ ამოირეცხოს. სამაგიდე დროშის სადგამი: მასალა-ვერცხლისფერი ნიკელი, ზედა თავი მომრგვალებული სამაგრიტო, ქვედა თავი მრგვალი სადგამით.	ცალი	10	15.6	156
4	დონორი ორგანიზაციის დროშა (EIB) სამაგიდე	დროშის ზომა: 22 x 15 სმ, მასალა: ატლასი ორმაგი, ბეჭდვა: ციფრული, სუბლიმაციური, ორი ერთმანეთზე გადაკერებული დროშა, დროშის ფერი არ გახუნდეს და არ ამოირეცხოს.	ცალი	5	6.6	33
5	დონორი ორგანიზაციის დროშა (ADB) სამაგიდე	დროშის ზომა: 22x15სმ, მასალა: ატლასი ორმაგი, ბეჭდვა: ციფრული, სუბლიმაციური, ორი ერთმანეთზე გადაკერებული დროშა, დროშის ფერი არ გახუნდეს და არ ამოირეცხოს.	ცალი	5	6.6	33
6	ევროკავშირის დროშა-სადგამით	დროშის ზომა: 100X150სმ; მასალა-ატლასი. სადგამი: ნიკელის, ვერცხლისფერი, შესაბამისი დროშის დასამაგრებელი კაუჭებით, ზედა თავი ქიმიისებური, ქვედა დასადგამი მრგვალი დისკისებური სადგამით, ზომა: 220-230 სმ.	ცალი	1	270	270
7	საქართველოს სახელმწიფო დროშა-სადგამით	დროშის ზომა: 100X150სმ; მასალა- ატლასი. სადგამი: ნიკელის, ვერცხლისფერი, შესაბამისი დროშის დასამაგრებელი კაუჭებით, ზედა თავი ქიმიისებური, ქვედა დასადგამი მრგვალი დისკისებური სადგამით, ზომა: 220-230 სმ.	ცალი	3	270	810
8	კომპანიის ბრენდირებული დროშა-სადგამით	დროშის ზომა: 100X150სმ; მასალა: ატლასი, ფერი: ლურჯი და თეთრი. დროშა ორმაგი, დამზადებული ატლასის ქსოვილისაგან, ბეჭდვა ციფრული, სუბლიმაციური (დატანებული კომპანიის ლოგო) ორი ერთმანეთზე გადაკერებული, დროშის მარცხენა მხრიდან ვერტიკალურად მიკერებული მყარი ზონარით. დროშის ფერი არ უნდა გახუნდეს და არ ჩამოირეცხოს. სადგამი: ნიკელის, ვერცხლისფერი, შესაბამისი დროშის დასამაგრებელი კაუჭებით, ზედა თავი ქიმიისებური, ქვედა დასადგამი მრგვალი დისკისებური სადგამით, ზომა: 220-230 სმ.	ცალი	2	270	540
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით						2044.5


 გიორგი კობერიძე
 დირექტორი


 თინათინ სანაძე
 დირექტორი

შეთანხმებულია:
 საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
 უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:


 ლელა კიკაღიშვილი